

ორნატი



საკოლეგიანო ქრებული

რვეული მე-8-ე

ORNATI RECUEIL POLITIQUE

ივნისი 1936 წ.

— პარიზი - Paris —

June 1936.

გ. ა ნ ა რ თ ე ბ ა

„ორნატის“ უკანასკნელ კრებულში (რომელიც ბ-ნმა ვ. ნოზაძემ თვითნებურად გამოსცა) გამოცხადდა: თეთრი გიორგის და ორნატის ორგანიზაციები გაერთიანდენ. ამის შემდეგ ბ-ნი ვ. ნოზაძე გაზეთ „თეთრი გიორგის“ ოფიციალური რედაქტორი გახდა. მისივე რედაქტორობით გამოსულ გაზეთ „თეთრი გიორგის“ ეს „გაერთიანება“ ახსნილი და ვანმარტებული იყო. ჩეუნი კრებული „ლორნატი“ ამის შემდევ აღარ გამოსულა. „თეთრი გიორგის“ ს უკანასკნელ ნომერში გამოცხადებულია, რომ „ორნატი“ ამ მოკლე ხანში გამოვა. სხვათა შორის რუსულ ეურნალ „კავკაზ“-შიც იყო მოთავსებული



ცნობა: ქართველი ნეო-სოციალისტები და ფაშისტები გა-
ერთოდნდენ „უთეორი გიორგი“-ს რედაქტორად დაინიშნა კ.
ნოზაძე და სხვა... ასეთია ოფიციალური ცნობები ჩვენი ჯგუ-
ფის და თეორი გიორგის ორგანიზაციის შესახებ.

რა მოხდა, საქმის ნამდვილი მდგრადულება? როგორია?

სოც.-დემ. პარტიის დატოვების და საპოლიტიკო კრებულ
„თანატის“- გამოცემის რამდენიმე თვეს შეძლება, ჯგუფში
ღრმა და სერიოზული უთანხმოება დაიბადა. თუმცა უთან-
ხმოება სუფთა დევური და საორგანიზაცია ხსიათისა იყო,
მაგრამ ისე ძარითადათ სწინააღმდევე ერთი - მეორის, რომ აქ
კომპრომისის მონახვა აფსოლიუტურად შეუძლებელი გახდა.
ბ. გ. ნოზაძემ გულმოდგინედ დაწყო მონარქიზმის პრინციპის-
დაცვა; მეორე მისი კატეგორიული მოთხოვნილები იყო, ჯგუ-
ფი დაუყონებლივ უნდა გაერთიანებოდა რომელიმე ნაციონა-
ლისტურ პარტიას, ჯგუფს თუ ორგანიზაციას. ჯგუფის უმრა-
ვლესობა წინააღმდევი იყო ნოზაძის ამ უკანასკნელი მოთხოვ-
ნილების, ხოლო მონარქიზმის დაცვაში ახდილად, არაერთ ემ-
ხრობოდა... ჩვენს ჯგუფს სასურველად და საჭიროდ მიაჩნდა
იდეურად და პოლიტიკურად მონათესავე ახალგაზრდობის
ჯგუფებთან საერთო ენა მონახა და გაერთიანებულიყო კიდეც-
ეს საკითხი დიდი იყო და ამ მხრივ მუშაობაც სწარმოებ-
და. დაუსრულებელი რაა ამ ქვეყნად, რომ ჩვენი დავა არ და-
სრულებულიყო; ამ დასრულების შედეგათ ის მივიღეთ, რომ
ბ-ნი ნოზაძე როი მხლებელით თეორი გიორგის ორგანიზაციის
იმ ჯგუფში შევიდა, რომელსაც ლ. კერესელიძე ხელმძღვა-
ნელობს და რომელიც გაყოფის შემდეგ თავად - აზნაურობის
ორგანიზაციით შეივისო... (პარიზში ასეთი ორგანიზაცია არსე-
ბობს). ბ-მა ნოზაძემ ორნატის ჯგუფთან თავისი ნებით გა-
სწყვიტა ყოველივე კავშირი, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ
მან ეს მოელი გჯუფის გადაწყვეტილებად გამოიცხადა და არა
თავის პირად საქმედ. შეიძლება კიდევ გაჰყენა ბ-ნ ნოზაძეს
ჩვენი ჯგუფიდან ეინმე? არ ვიცი. ეს გამოირკვევა ამდღეებში
იმ კონგრესზე, რომელსაც ნოზაძე და კერესელიძე იწვევენ.

III ს. პ ი ლ ს უ დ ს კ ი.

პილსუდსკი მთელი ეპოქაა პოლონეთისათვის... დამოუკიდებლობის, მთავრობის, მის განმტკიცების სიღიღის, სიძლიერის, შინაგანი წესრიგის, და საგარეო უშიშრობის. პილსუდსკიშ თავის ერთან ერთად ბრძოლით გამოხვედა პოლონეთის ერის დამოუკიდებლობა, ხანგრძლივი იყო ეს ბრძოლა, მძიმე, სიოცარი დრამატიზმით, მაგრამ ფოლადის, ნების ყოფით და უცნაური ამტანობით, გამორთული. რუსეთის ციხეები, პოლიციის წინაშე სიგივის სიმულიცია, ემიგრაციობა, მაგლემბურგის საპყრობილე და ბოლოს განთავისუფლებულ სამშობლოს სადარაჯონე დაუღალავი სამსახური.

პილსუდსკის მთელი ცხოვრება იყო ბობოქარი, მღელვარე, ანთებული, მაღალი რწმენით და თავისი ერის სიყვარულით გასხვილსნებული.

პილსუდსკი გამოიკვეთა მთელი პოლონერი ჩასა თუ ბუნება. ძარღვიანი, ამტანი, გაძძლე.

პილსუდსკი ისე უაღრესად დიდი მნიშვნელობის იყო პოლონეთისათვის, როგორც დივით აღმაშენებელი საქართველოსათვის, ბისმარკი გერმანიისთვის, უზებე გარიბალდი იტალისთვის.

პილსუდსკი ბევრ მაღალ თვისებებს ათავსებდა თავის არსებაში: იყო იყო საკუთხევი მხედარი, ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და კარგი ბუბლიცისტი.

როგორც მისი კარგი ნაცნობები ამბობენ, პილსუდსკი სადა, უმრავლო ადამიანი იყო კერძო ცხოვრებაში, თეატრალობას და პოზის მოკლებული; ხოლო შიგ და შიგ უხმი, ჯიუტკი... ხშირი არა ის მოვლენა, როცა ასე ხანგრძლივი ნაბრძოლი და ნაღვაწარი უნაღდდება ადამიანს.

პილსუდსკი საქართველოს დიდი და გულწრფელი მეგობარი იყო და გვინდა დავიჯეროთ, რომ პოლონეთის ერი ამ მეგობრობის გრძნობას არც ერთ მძიმე მომენტში არ დაივიწყებს.

პილსუდსკი გარდაიცვალა, მაგრამ მისი სული მთელი პოლონელი ერის ღვთაებად გადაიქცა.

საერთო ინაზაპისათვის

„იდეა (იგულისხმება სოციალ - პოლიტიკური იდეები) რომელსაც მისი შემქმნელი თაობა ვერ ანხორციელებს ამ თაობის შემდეგ მხოლოდ სიტყვად ჩჩება და რამდენადაც შორს მიღის ახალ და ახალ თაობაში, იმდენად მეტად მასინჯდება. ასეთი იდეის ცხოველ - მყოფელობის უკვე სერიოზულად აღარავის სჯერა; ის მხოლოდ საფთხობელაა“. თვით იდეა კი მეტარია.

ედ. ბაბავა (ეროვნული სინამდვილე და ს.-დემ.).

„ჩვენის ღრმა რწმენით კი ქართული ემიგრაცია უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ემიგრაცია და არა პარტიულ - პოლიტიკური“. კოტე ჩერეკელი (ემიგრ. მოვალეობა).

„ჩვენს ქვეყანას არ სჭირდება მემარცხენების და მემარჯვეობის უკიდურესობანი, უცხო სოფლმხედველობათა პრინციპების ქართული საბურავით მოქანმება, უსარგებლო ქოთილი სურვილებით და უნიადაგო მოარული აზრები“. ი. მანწყავა (ჩვენი აზრი).

„ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ მზადა ვართ ცველა ძალა გამოეყიყნოთ და ჩვენ გულლიად და ხელგაშლით მიეიღებთ ყოველგვარ საქართველოს, ხოლო საქართველოს თავისუფალს და დამოუკიდეველს“.

(„ორნატი“-ს პირველი განცხადება).

აქ ზოგად ფორმულებში გარკვევით გამოხატულია ჩვენი იდეების და პოლიტიკური ხაზის მთავარი მაგისტრალი: აქ ნათლად მოცემულია ქართული საერთო ნიადაგის მთელი აღნა-გობა, რომელზედაც ჩვენის ფიქრით ახალი თაობის მომავალი ბრძოლებში უნდა გაიშალოს.

ჩვენ პოლიტიკური პარტია არ დაგვიარსებია, ჩვენ მხოლოდ ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობის ზოგადი ფორმულები დაფაყნეთ; რატომ? რით ვხელმძღვანელობდით?

საქართველომ რუსეთის იმპერიის ნგრევის ხანაში 1918 წ. ილდეგნილი დამოუკიდებლობა, იმავე რუსეთის სანხედრო თავ-

დასმხის შედეგად 1921 წ. დაპყარგა. 1924 წ. საყოველთაო აჯან-
ყება დამარტინი. რუსეთის სამხედრო ძალამ და ქართული კო-
მუნისტების ხელმძღვანელობამ, საქართველო რუსეთის და სხვა
დაპყრობილ ერების (უკრაინა, კავკასია და ოურქესტანი) საში-
ნელ სოციალ პოლიტიკური ექსპერტების მოედანს მიაკერა.
საქართველო დაილურისა რუსულ კომუნისტურ გოლგოთაზე.
შედეგი: — როგორც სხვა ნაწილებში, საქართველოშიც მთელი
საზოგადოებრივი ცხოვრება ძირულად შეირყა და შეიცალა,
საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში სამი
ელემენტია მხოლოდ დღეს: 1) სოციალურად და პოლიტიკურად
ერთფეროვანი ხალხის მასშა; 2) პოლიცია და 3) მიწა-წყალი.
კომუნისტური პარტია გადაიქცა უბასუხისმგებლო, უმორალო
და უპრინციპო პოლიციურ ოლიგარხიად, სადაც შეფის განკარ-
გულება უსიტყვოდ და მექანიკურად სრულდება და ამ შესრუ-
ლებას ადგილებზე რეზოლუციებით მიაგრებენ. საკუთარი მე-
ბრძოლებიც არ დაიწდო ამ პოლიციურმა ოლიგარხიამ, ციმბირი
და საბჭოობილები ძეველი კომუნისტური გვარდიით აიცს. სხვა
პარტიებზე და უპარტიო მასსაზე ხომ ლაბარაკიც კი ზედმეტია.
ერთი სიტყვით, აღდგენილი და დაკანონებული იქმნა ძეველად
ისტორიაში ცნობილი მონობა. ერთი საყურადღებო შედეგი მი-
ვიღეთ აქედან — უკლასო საზოგადოება, ჩასაც ძეველი სოცია-
ლიზმის დოქტრინა ერთ აუცილებელ პირველ პირობად ასახე-
ლებდა სოციალიზმის განხორციელებისათვის. ეხლა პოლიტი-
კურ ოლიგარხია რომ მოაცილო ამ ერთფეროვან უკლასო სა-
ზოგადოებას და ძველ დოქტრინის კეშმარტი სოციალისტი
მიუშვა რა გამოვა. დავიჯეროთ რომ იგი ნამდვილს სოციალ-
იზმს დაამყარებს? ჩასაცირკელია ვერა.

ძველი დოქტრინებისადმი იჭვი და მისი უარყოფა ამ საშ-
ინელი სინამდვილის ანალიზიდან დაიბადა... .

ქართველი ხალხი დღეს პირის პირ დგის მტერთან. ეს
მტერები უამრავია, შინაური და გარეშე. იგი მას ებრძების პასი-
ურად, მაგრამ მაინც. ეს ბრძოლა სოციარია, შინაგანი, ჩუმი
ეროვნული მეობის გადარჩენის და ფიზიკური. მეობის შენარ-
ჩუნების. ემიგრაცია გაირიყა ამ საშინელი დრამიდან, რომელიც
საქართველოში დაპყრობის დღიდან სწარმოებს. ქართველ
ადამიანს იქ არ ესმის ემიგრანტული დავა და კინკლობა, ერთ-

მანეთის ტალახში, ამისცერა და საერთო ნიადაგის უქონლობა. შეიძლება ემიგრაცია ისე ამოწყდეს, რომ სულიად არ ერისოს საქართველოს განთვისუფლება ან და შეიძლება მოესწოოს, მაგრამ ეერაეთარი მონაწილეობა, ვერ მიიღოს გადამწყვეტ ბრძოლაში. ისიც შესაძლოა, რომ ვერც ერთმა ძევლიმ პოლიტიკურმა პარტიამ იქ მიზმანელოვანი როლი ვერ ითამაშოს. ამით იმის თქმა არ გვინდა რომ პარტიები უნდა მოისპოს და უპარტიო პარტია უნდა გაბატონდეს, მაგრამ ჩვენთვის სრულიად უცნობია, რომ საქართველო გადამწყვეტ ბრძოლის დროს როგორ პოლიტიკურ ძალას გამოკვეთს. ამს უნდა დაუკითხდეს კველა პარტიოსანი ემიგრანტი, ვინც უკვე დაბრუნებას არ აპირებს, ვინც მტრის ფულით მოყიდული არა, ვინც დოქტრინალური ფანატიზმით არ დაბრმავებულა.

ჩვენ როცა უცხოეთში ვიმყოფებით, ჩვენს ქვეყანას ძალით მოგლეჯილი ემიგრანტულ ჭაობასა და გაწამიწაში პოლიტიკური პარტიის შექმნა გვემბით და პროგრამებით მიზანშეწონილად არ მიგვაჩინა;

დღევანდველი ქართული სინამდებილიდან გამოვლილით, რომ არც ერთ ძევლ პოლიტიკურ პარტიათა ნაწილებს, რომ-ლებიც უცხოეთშია გაღმოხინული არ მივეკედლეთ. მათთან ჩვენ ჯვაროსნულ ომის გამოცხადებასაც არ ვაპირებთ. ეს უცხოეთში ქარის წისქილებთან ბრძოლას დაემსგავსებოდა. უცხოეთში პარტიული დავის გაჩიდება ქარაფშუტობაა და სისულელე, ხოლო პოლიტიკური საკითხების დაყენება კი მიზან შეწონილი და სასურველი.

აქაური პარტიები საქართველოში ომამდე და კომუნისტურ შემოსევამდე აშენებული და შექმნილი პარტიები, რომელებიც ასე თუ ისე ქართულ პირობებს უდგებოდა და ჩვენი საზოგადოებრივი სულიც პოლიტიკურ კითარებაში შეიქმნა; ამ პარტიების გეგმები და პროგრამები დღეს უნიადაგოა და ცარიელი სიტყვა, მათ დარჩათ მხოლოდ ერთი; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრი, ამაზე მუშაობა, ამაზე ზრუნვა, ერთად ხელი - ხელ ჩაიდებული დღეს მთელი ქართული ემიგრაციის ერთად - ერთი იდეალი, ხაზი, პროგრამა და იდეალობია მხოლოდ ესაა. ქართულ ხალხს მხოლოდ ეს ესაჭირო-

ება და ეს უჭირს — დიდი ქარლინალური პირველხარისხოსთვის
საკითხები სახელმწიფო ეპიკი და სოციალ - პოლიტიკურ ხასია-
თის, რომელიც ნორმალურად ეროვნულ სახელმწიფოს და თა-
ვისუფალ საზოგადოებს რომ აქვს, ჩევრონტვის სასხვათა შორისის,
წვრილმანი, უნიტერელო და დღეს ყოფელგვარ ნიადაგს მოქ-
ლებული, ეს ეკრ გაიგო ემიგრაციაში. ან უკეთ მან ცეკ მო-
ხერხა ამის განხორციელება. ძევლი პოლიტიკური პარტიის
ხელმძღვანელებმა პარტიულ და ჯგუფურ დავას შინ რომ
იყვნენ დაჩვეული, აქ გადმოიტანეს, აქ აგრძელებენ. ამას ხელს
უწყობს ის გარემოება, რომ აქ თავისუფალი აზრის და უაზ-
რობის გამოთქმა აკრძალული არაა. ჩევნ გამიჯნული გიქნებით
აქაურ პოლიტიკურ პარტიების ხელმძღვანელთა საქმიანობი-
დან მანამ, სანამ ისინი დღევანდელ პირობებში საშინელი მდგო-
მარეობაში ჩაედარინოს ქართველი ხალხისთვის ამ მთავარ ნია-
დაგზე არ დადგებიან. ეს მთავარი ნიადაგია შუშაობა და ზრუნ-
ვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ქართუ-
ლი საკითხის პროცეგანდა უცხოეთში, შინაური ზავი, ერთმა-
ნეთის თავდაუსხმელობის პაქტის დადგება და მისი ყოველ პი-
რობების გარეშე ასრულება.

ბ-ნი ნოე ეორდანია თითქო დადგა ამ ნიადაგზე (იხ. მისი
წერილი „ბრძოლის ხმა“-ში); იგი ამბობს, რომ ჩევნ დიდი ხა-
ნია ვართ დამდგარი საერთო თანამშრომლობის ნიადაგზე, მხო-
ლოდ ფრონტი ნაციონალ - დემოკრატებმა გაარღვეის. ეს წე-
რილი დაბეჭდილია „ბრძოლის ხმა“-ში, რომელსაც თავში ერ-
თი ნიჭიერი ეტრალის 50 წლის უკან ნათესავი სიტყვები აწე-
რია ლოზუნგათ „პიროლეტარებო უკელა ქვეყნისა შეერთდით“.
ამ გაცემითილ და უაზრო ფრაზას კარგა ხანია აღარავინ ხმა-
რობს საბჭოების გარდა. ბ-ნი ნოე ეორდანიას ეს ალბად დოქ-
ტრინალურ სიშინდისათვის სჭირდება, მაგრამ ხალხმა აღარ
იცის სად არის ბ. ეორდანია მართალი თავის წერილში თუ თა-
ვის პარტიულ გაზეთის ლოზუნგში. ბ. ს. კედიას ეროვნული
ბრძოლა ოფისსხვ ატებილ დავის გამწვავებაში გამოიხატა, ეს
არა პოლიტიკური დაწესებულება, პოლიტიკურ დავის საგნად
გადაიქცა. და საკვირველი ისა რომ, ისეთი ხალხი დაეტავა
ერთმანეთს ამ საქმეში, რომელთაც არც პიროვნების მოწმობის
გამოცდლა უძნელდება და არც შრომის უფლების დაცვას სა-

ვირობებს. ბ. ლ. კერძესლიძე (პარიზში დაარსებულ თეთრი გორგის ორგანიზაციის ერთო ჯგუფის ლიდერი) კორპორატიულ სისტემების უშნო თარგმანშია გართული, ხოლო ბ. გ. ნოზაძე, რომელიც მას ებლა გვერდში ამოუფა, ბაგრატიონების დინასტიისავენ გვიჩრდის. მთელი ეს იდეოლოგიური დოგმები და პარტიული ბრძოლის ხერხებით უნდობლობას და ერთმანეთთან დაპირისპირებას ამწვავებს. ასეთს პირობებში ჩვენ დამოუკიდებლად ვირთ და არ გვიჩნდა ამ უმიზნო დავიდარაბასა და დაჯახებებში ზედმეტი კიტი გაუყაროთ.

ჩვენ როცა ახალგაზრდებს მოუწოდებდით და მოუწოდებთ ეს იმიტომ რომ დაგვევარება იმედი პოლიტიკურ პარტიათა რომ ისინი საერთო ნიადაგზე დადგებან, სასარგებლო მუშაობის წარმოება შესძლებენ, რომ ისინი დღევანდელ ქართულ სინამდვილეს პირდაპირ გასინჯავენ და პოლიტიკურ საკითხებს ამის მიხედვით დაყუნებენ, რომ ისინი საერთაშორისო კოთარების ანგარიშის და გამოსაღებობის სახრისით დააფასებენ და ამ გვრად ეცდებიან ქართული საქმის წინ წაწევას. ახალგაზრდობისადმი მოწოდება არც მეტრიკის და არც მამებისადმი დაპირისპირების საკითხი არ ყოფილა, არამედ, იმის რომ, ახალგაზრდობა თავისუფალია ძველი დავის ანგარიშებიდან. თაობა რომელიც მოსკოვის შემოსევის შემდევ ასპარეზზე გამოედა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დავაუკაცდა, მაგრამ რომელიც ამა თუ იმ პარტიაში ირიცხებოდა, მათ ადვილად შეეძლოთ ერთმანეთთან მისვლა, ერთმანეთის გაგება, ერთმანეთის დანდობა, ერთმანეთის გატანა, აქც და საქართველოშიც. მაგრამ რა ნიადაგზე? სწორედ იმ ნიადაგზე, რომელიც ზევით იყო აღნაშნული. მაგრამ თუ იმ საერთო მოქმედების ნიადაგზე შემოტანილი იქნა ათასსნაირი თეორიები მონარქიზმიდან დაწყებული სოციალიზმამდე, მაშინ რასაკვირველია, ვერავითარი მიზანს ვერ მივაღწევთ...

ჯგუფის პოლიტიკური ბიურო.

Rédaction : Mr I. Mantskava, 105, rue de Vaugirard, Paris (6).

Le Gérant : M. Bisnovaty.

Imprimerie de Navarre, 5, r.-des Gobelins, Paris (13).